

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეთრე სართულში. თვეური ხელის მომწერათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

კომუნისტი

№ 10 უმჯობესი მარტო საბრძოლველ კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტატებისა. № 10

„1847 წელს სოციალისტური იდეოლოგია ბურჟუაზიული მოძრაობის, კომუნისტი — მუშათა მოძრაობის, სოციალისტი, კონტრინტენციური ძალის, საღონებში იყო მიღებული, კომუნისტი კი ამის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა: და რადგანაც ჩვენ უკვე მშინ გადაჭრით ვადექით იმ ასრს, რომ „მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა კლასის საქმე უნდა იყოს“, ერთ წამსაც არ გვიკომანია იმის შესახებ, თუ ამ ორი სახელწოდებიდან რომელი ამოგვკრჩია. მუშაკებმა ჩვენ არასოდეს არ გავგვიღია ფიქრით უარი გვეთქვა ამ სახელწოდებაზე“.

ფ. ენგელსი „კომუნისტ. მან.“ წინასიტყვაობა 1890 წ.

დაზნაპლაგი თავისას არ იტყობა.

სომხეთის მახალაჟანა—დაზნაპლაგი პარტია, როგორც ვახს, თავის კანში არ ეტყვა, მშვიდობიანობას გადაჩვეული, ის მორიგ საფრთხის წინაშე აყენებს განაწილებ სომხ ქალაქის და სოფლის მუშას. ტერიტორიულ საკითხების გადაჭრას, საზღვრების შემოფარგვლას ის ფიქრობს თავის ჩვეულებრივი წესით: მათხურისტების განუყოფელ გათარეშებათ, რის შემდეგ დაკავებულ სოფლებიდან იმუშავენ ტელეგრაფი და ცინიკურ დეპეშებს მთავრების—თათრის მოსახლეობამ თავის ნებით დასტოვა თავისი სამოსახლო და სპარსეთში გადასახლდა. დასაშვებია კი, რომ სადაო საზღვრების გამო თუნდა ერთი სომხ გლეხის ან თათრის განწირვა? რასაკვირველია არა, მაგრამ სომხეთის განუყოფელი მმართველი პარტია აყალმაყალს სულაც არ გაუბრძვის და სისხლიდან დაცილვ, გამუდმებულ ომებით მოჭანულ სომხის გლეხობას ახალ-ახალ დაეღარაბის და სისხლიან საფრთხის კიდევ აყენებს. საბჭოთა რუსეთის გავლენით, სომხეთმა ცოტა მოისვენა სამხრეთ-დასავლეთით, ანატოლიის ნაციონალისტების ჯარი ამ ყანაო მას არ ემუტრება ოლთისის ოლქის საზღვრებში. იმავე რუსეთის ჩარევით შეჩერებულ იქნა ურთიერთ შორის შეტაკება ყარაბახ-ხანგებულის მხარეში, სადაც წითელი ჯარის ნაწილები იცავენ წესრიგს სადაო ტერიტორიულ საკითხების გადაწყვეტამდე. იმავე მიზნით წითელი ჯარი შედის შარურო-ნახიჩევანის რაიონში, სადაც იგივე მუშლის და მტრობის ბული იდგა. ამასთანავე საბჭოთა რუსეთი სრულ უფლებიან წარმომადგენელს აგზავნის სომხეთის მთავრობასთან, რათა ადგილობრივ ვარკვეულ იქნეს და სამართლიანად გადაჭრილი სადაო ტერიტორიული საკითხები, რომლებსაც ასეთი ფუქსავატობით სწარაგვენ დაზნაპლაგი სომხეთის მშრომელთა სისხლს, მათ ისედაც განაივებულ დოვლათს. მარა სომხეთის გამგე პატონ-პატონი პარტია, რომელიც მეფურად ღებულ-

ბდა და გულითადი კავშირის ძაფებს აბამდა დენკინის ელჩებთან, არც ღებულობს და საზღვარზედაც არ უშვებს საბჭოთა რუსეთის ელჩს და იმავე დროს რუსეთის წითელი ჯარის წინააღმდეგ ვალაშქრებს აპირებს. ასეთი დამოკიდებულება იმ მესამე ძალსთან, რომელიც ერთად ერთი სამართლიანი და წესრიგის ჩამომდგები მედიატორია დღეს სომხეთსა და აზერბაიჯანის შუა, იწვევს საპასუხო ზომებს წითელი ჯარის ნაწილების უფროსების მხრით სათანადო წინასწარ ზომებს, იმართება ულტიმატუმის გზაზე, ისვენება ახალი საბედისწერო კვანძები, რომლის გადაჭრა ძვირათ უჯდება და დაუჯდება მშრომელ ხალხს, სანამ ის არ გამორკვეულა, სანამ არ მოუშორებია თავიდან საკუთარი შინაური მტრები, სანამ არ გაუწოდებია თავისი დაკორებული ხელი ყველა მეზობელ ხალხთან მშრომელებისთვის.

ისინი შიშობილებენ, მენსჟეიკები სდუმან!

დღეს მესამე დღეა, რაც ქუთაისის ციხეში კომუნისტები შიმშილობენ. დღეს მეორე დღეა, რაც მეტეხის ტყვე-კომუნისტები შიმშილობენ. ცნობებია, რომ სამხრო ციხეებშიაც დაუწყიათ შიმშილობა—პროტესტი ჩვენს პატიმარ აზნაპლებს.

რას შერებიათ ამ დროს მენსჟეიკები? რას აპირებენ მათი მთავრობა? არ ვიცი. მათი გაზეთები კრინტს არ სძრავენ კომუნისტების წამოყენებულ მოთხოვნების შესახებ, მათი მთავრობის რაიე ზომაზე არაფერი ისმის. ვითომ არაფერი მომხდარიყო, თითქოს ორასი კაცი შიმშილის ორასი მოქალაქის სამხილი დრომის პროტესტი ციხეების ყრუ კედლებს შორის სულ უმნიშვნელო რამ იყოს, რაც მათ არ შეეხება, მათი ყურადღების ღირსი არაა. მენსჟეიკები სდუმან, ჩვენი ორასამდე აზნაპლები შიმშილობენ, ყოფილნი რევოლუციონერები! გაიხსენეთ ახლო წარსული, მოიგონეთ შიმშილობის ისტორიები ნიკოლოზ მეორის ციხეებში. ვიცით, ყრუანტელი არ შეაფთოებებს თქვენს არსებას, რაკი შიმშილობით თვითმკვლელობას ეწვევიან საქართველოს კომუნისტები, მაგრამ იფიქრეთ პასუხისმგებლობაზე იმ მკვლელობის გამო, რომელიც თქვენს წინ სწარმოებს. ისტორიამ სასტიკი პასუხი მოსთხოვა ციხეების უწინდელ პატრონებს. ათჯერ უსასტიკესი იქნება ისტორიის მსჯავრი მათ მემკვიდრეების ჯალათობის გამო. ნუ დაგვიწყდებათ ეს, თუ იოლათ დავიწყებას აძლევთ კომუნისტების ჯოჯოხეთურ წვალებას და თქვენს მოვალეობას.

(გიგლიოგრაფია)

Ө. Гюнт. Азиатская политика большев. ковь.

170 გვერდიანი დიდი ფორმატის წიგნი, თან კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი და ფაქიზათ გამოცემული, წიგნი პოლიტიკო-კონომიური თემაზე—ეს ხომ დიდი რამ ამზავია ჩვენებურ მამულიშვილთა წილხდომილ საქართველოში, სადაც წელიწადში ერთი წიგნი თუ გამოვა და ისიც სპეციალურ პატრიოტულ სიმბეჭე გაქაღარებულში და ბ. ლონტის წიგნი, რომლის სათაური ჩვენ წესითა ამოწვევით, საკმაოდ დიდი მოვლენა იქნებოდა, განხრახების მხრით მან, ჩვენებურ საესებით გამოფიტულ წიგნის ბაზარზე, რომ ის ქართველი მკითხველისთვის იყოს დაწერილი და არა რუსულის მკლდნი ინტელგენცი-

ისათვის. ავტორი არ მალავს, რომ „ჩვენში, საქართველოში მოწამულელი ატმოსფერა ბალშევიკური გამოსვლების გარშემო, ჩვენ „ჩავტენეთ“ მასების შეგნებაში, რომ რუსეთის ბალშევიზმი განსახიერება საზოგადოების ნაპირალეზის უუქვენეს ინსტიტუტების, რომ ლენინიზმის მიზანია სისტემათ აქციის ყინალობა, მტაცებლობა, უმცირესობის ბატონობა უმრავლესობაზე. ბოლშევიზმი—განსახიერება ანარქიის, წინამორბედი დენიკინიზმის და მეტი არაფერია!“ (გვ. 24) აი რა მუშაობა გავკვირდება, „ჩვენ“, ე. ი. ბ. ლონტის სოც. დედერალისტურ პარტიასაც, აი როგორ მოგვიშაშავს მასების შეგნება. და როცა „ჩვენ“ ცოტა არ იყოს, სინიდიის ქენჯანს ვიკრძობთ და ნამუშევარს გადათვლიერებას გადავწყვიტავთ, მოზრდილ ტომს დავწერთ, მარა მასების გასაგებ ენაზე კი არა, არამედ იმ ენაზე, რომელიც ესმის მხოლოდ ამ მასების პროფესიონალურ მომზამელებს. რაღა თქმა უნდა, სინიდიის მხილების ნაყოფი ასეთ შემთხვევაში ჭიანი გამოვა, კიდევ რო გულწრფელი, ვალსებელი და ბოლომდის ვატარებელი იყოს მონანიების გზაზე შემდგარი მკვლევარის ახალი აზროვნება. მაგრამ სწორეთ ამ მხრითაც დაქიანებულია ბ. ლონტის პოზიცია.

წინასიტყვაობაში ავტორი ვვაცნობს, რომ მისი წიგნი იკვლევს ობიექტიურ და სუბიექტიურ პარტისებს ევროპის და აზიის მრავალ მილიონიან ხალხების რევოლუციის გამარჯვებისას დაღუპვისაკენ დაქიანებულ იმპერიალიზმზე. ეს უღიადესი აქტი მოუტანს ქვეყნიერებას უღიადეს მოვლენებს უღიადესივე შედეგებით: განთავისუფლებას ერებისა და განსაკუთრებით მშრომელი კლასებისა—ინგლისის იმპერიალიზმის დარღვევით ჩაყრება მკვიდრი საძირკველი, და ყველა მცირე ხალხები და მათ შორის ჩვენ, ქართველებიც, ბოლომდის ადვადგენთ ნაციონალურ კულტურას და თავისუფლებას (გვ. 3) აი რას გვიქადის იმპერიალიზმის დაშობა, ამიტომ „ძალია კოორდინაცია ნაცვლათ დაქსაქვის, მკიდროთ შეკავშირება მებრძოლ ელემენტების წინააღმდეგ სულ დაზნაპაში ფეხშედებულ და დაღუპვის გზაზე დამდგარ იმპერიალიზმის—ამ კაცობრიობის მტრის და რისხვის წინააღმდეგ—აი ჩვენი ახლომდელი მიზანი და მოვალეობა“ (გვ. 4) და ბოლოს ბ. ლონტი მოუწოდებს ყველას: „სათანადოთ გადაეჭრათ ეს საკითხი; საბოლოოდ თვით-გამოვერკვიეთ მსოფლიო მოვლენებში, ზურგი ვაქციეთ სულის და ხორცის წარმწყმედ ოპორტუნისმს და შევიდეთ ხალხთა საერთაშორისო ოჯახში, როგორც თავისუფალი ერთი, რომელსაც ბრძოლით, თავგანწირული მუშაობით მოუპოვებია თავისი თავისუფლება იმპერიალიზმის დამლუბველ შედეგებისგან და ქვეყნიერების გათავისუფლების საქურთხვევლზე მოუტანია აზრის სინათლე; ენერგის სისრულედ და ღირსეული ნაციის ღირსეული ბრძოლა“ (იქვე).

რა კარგათ იწყებს ბ. ლონტი თავის გამოკვლევას! ალბათ ასეთ მოხედნილ შესავალს დასვენა კიდევ უკეთესი, ღირსეული მწერლის ღირსეული ბრძოლის დამავგირგინებელი ექნება. ამას დავინახავთ ქვემოთ.

ბ. ლონტი მრავალ ფურცლების მანძილზე ცდილობს და ნაყოფიერადაც გაატაროს თავისი ძირითადი დებულება: რომ მხოლოდ ბალშევიზმმა მიიტოვა ისტრუქციების სამეღ და სოციალისტური საქმე გაიხადა ახლადელ მიზნათ, რომ მხოლოდ მან და მტრო მან გამო-

უტებადა ტიტანიური, სამკედრო-სასიცოცხლო ომი იმპერიალიზმს როგორც ევროპაში ისე აზიაში, რომ მოსკოვმა წაშოაყენა უმწვეველი და უუნნიშვნელოვანესი საკითხი მსოფლიო კულტურისა.

ამ დებულების დასასაბუთებლათ ის ენება მეორე თავში რუსეთის რევოლუციის ხასიათის საკითხს და უდათ მიანინა მისი სოციალისტური ხასიათი. „რუსეთის 1917 წლის რევოლუცია იყო და მით უმეტეს ახლა არის რევოლუცია სოციალისტური“, სწერს ის (გვ. 22). ის ნაყოფია უპირველესად ობიექტიური პირობების, ტენიკის, ეკონომიური სინამდვილის სათანადო დონემდე განვითარების ერთი მხრით, და მსოფლიოს მდგომარეობით, იმპერიალისტური ომით გაღმომწვეული მწვევე სიტუაციის მეორე მხრით. „როგორც არ უნდა უყურებდეთ ბალშევიკებს—სწერს ბ. ლონტი,—ისტორიისადმი პატიოსანი მოპყრობა გვაგალებს ჩვენ გამოვთქვით, რომ სახელდობ ბალშევიკებმა წამოაყენეს წინ ისტორიული ამოცანები ძირამდის დამალკაიტალიზმის დაშობის, იმპერიალისტური ომების გამომწვევ ძირითად მიზეზების მოსაპობის, და ხელი მოკიდეს რუსეთში ამ ისტორიული მიზნების პრაქტიკულათ განხორციელების“ (გვ. 24). ბ. ლონტს არ აშინებს, რომ ბალშევიკები იძულებული შეიქნენ ძალდატანებით მეთოდებით შემოედოთ, ის დარწმუნებულია, რომ „ბალშევიზმი ბრწყინვალეთ იმარჯვებს არა მარტო იმიტომ, რომ მან დიქტატურულ ზომებს მიმართა... არამედ თავის ქეშპირტ რევოლუციონერ მუშაობის მეოხებით“ (გვ. 30) ამ მუშაობაში ერთ-ერთი მთავარი პუბლია მსოფლიო იმპერიალიზმის დაშობა მსოფლიო რევოლუციის საშუალებით, ბალშევიკებმა რუსეთის რევოლუციას ინტერესები მკიდროთ გადააჯაქვეს საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებს (გვ. 38), წინააღმდეგ ჩვიტეროდზიანკოს ლიბერალურ, კუდმოკვეცილ რევოლუციისა, მათ გასწვი-გამოსწვიეს რუსეთის სოციალისტური რევოლუციის ფარგლებში, ვაარ-ღმადეს რევ. ალიუცია, ლოდიკურ დასკვნამდე მიიყვანეს ის, რითაც ადგილიდან დასტრეს ევროპის პროლეტარიატი და თავისკენ მიიზიდეს (გვ. 418). ბალშევიკური რუსეთი თითქმის საი წელიწადია სასოწარკვეთილ ომს აწარმოებს, პროლეტარიატის ორგანიზაციულ გამოსვლების საუკეთესო ოსტატები, ბალშევიკები კოლოსალურ სახელმწიფო ძლევამოსილ აპარატს ამუშავევენ რევოლუციის ასაგორებლათ, მარა ჯერ ჯერობით მათ ვერ შესძლეს ნამდვილი რევოლუციის გამოწვევა ევროპაში, სწერს ბ. ლონტი და განმარტავს, რომ ბალშევიკების მოლოდინი ამ მხრით არ გამართლდა, თითქოს ბალშევიკებს როდისმე იმედი ქონდეთ იმისი, რომ ევროპაში რევოლუცია იფეთქებს უსათუოდ ამა და ამ მომენტში.

ჯერჯერობით ინგლისის იმპერიალიზმი კიდევ ბატონობს, რადგან ინგლისის მუშათა კლასს არ აუწყვეტია თავი და ომი არ გამოუცხადებია მშობლიურ იმპერიალიზმისათვის. მართალია ინგლისის მუშათა დლეგაციის სტუმრობამ რუსეთში გამოიღო ნაყოფი, მარა ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რევოლუციონერი სულისკვეთების ერთი ელემენტია. იმპერიალიზმის მიძიედ ლოდი აწვესჯტრ მუშათა კლასს, რაც სრულიად ვერ შეუძნია ოქროპირს, მარა ვერცევი. წერეთელს, ხოლო ბალშევიკებს ნათლათ აქვთ წარმოდგენილი, რომ ევროპის მუშების დაინტერესება რევოლუციით და სოციალიზმით შეიძლება იმპერიალიზმის მასაზრ-

დობელ ძირების მოსაპობით, კალონიების და დაჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებით ფინანსიური კაპიტალიზმის უღიადეს. შემდეგ მისა, თითქმის 100 ფურცლის მანძილზე ბ. ლონტი აცნობს ბალშევიზმის დამოკიდებულებას მკითხველს იმპერიალიზმთან, ამ კაცობრიობის კულტურის უღიადეს დამაბრკალებელ მიზეზთან, „რომლის წინააღმდეგ ბალშევიკებმა მიმართეს მთელი ძლევა-მოსილება თავისი სახელმწიფოებრივი აპარატის, რევოლუციონური გამოცდილების და ენერგის...“ (გვ. 57). ბ. ლონტს გამოუყენებია თითქმის მთელი უკანასკნელი ლტერატურა ამ საკითხზე, და იმ დასკვნამდე მისულა, რომ „რუსეთში—ერთი კოლოსალური ყოველ მხრივი ძალია, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს აღმოსავლეთში სერიოზული შესლა-შემოხლები“, (გვ. 106), რომ თავისი სოციალისტური პოლიტიკით ბალშევიკები სრულიად არ აპირებენ აღმოსავლეთის დაპყრობას, არამედ მის განთავისუფლებას ინგლისის იმპერიალიზმის კლანქებიდან და აპიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამ ყმად ენევიო და ქიამილ-ფაშას საერთო ენა აქვთ ლენინთან, რაც გავკვირებას იწვევს ქონდრის ხალხში. მე გვონიაო—განავტობს ბ. ლონტი, რომ ბალშევიკების მუშაობა საერთოდ და მათი საზიო პოლიტიკა კერძოთ, მიუხედავად მრავალ შეცდომებისა და სისატიკისა, ბოლოს და ბოლოს განთავისუფლებს ქვეყნიერებას და დემოკრატის იმპერიალისტების ჯალათებისგანო (გვ. 120), ვინაიდან ის დღეს, როცა ინგლისი დაკარგავს ინდოეთს, იქნება დასაწყისი ახალი ხანის ინგლისისათვის და დღე ინგლისის უღიადესი რევოლუციის (გვ. 130).

რა მიზნები უნდა დაისახოს ევროპა-აზიის ხალხებმა? „უღიადესი ნაციონალურ-კულტურული მიზნები ევროპა-აზიისა მოითხოვენ ამ ქვეყნების ხალხთა მკიდრო კავშირის სოციალიზმის დროში. ქვეში“ (ამ სიტყვებს ბ. ლონტი ხაზს უსვამს). „როგორც ამერიკის რევოლუცია ინგლისის წინააღმდეგ იყო აუცილებელი პირობა ამერიკის განვითარებისათვის, ისე ახლა ასეთივე პირობას წარმოადგენს ევროპისთვის სოციალისტური რევოლუცია წინააღმდეგ მსოფლიო იმპერიალიზმის. ამ რევოლუციაში აზიის ხალხები თვდაპირველათ პირველ წყებაში ჩადგებიან, ისინი წარმოდგენილი იქნებიან ბრძოლაში, როგორც ავანგარდის აღეპტები“ (მომხრებები, დავალებული, რწმუნებულები—გვ. 138).

„პირველათ და მხოლოდ ახლა შეიქმნება ბრწყინვალე ხელსაყრელი პირობები რეაქციის გასარყვავათ, მხოლოდ ახლა შესაძლებელი გამანადგურებელი იერიში კაცობრიობის მოლოხის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, და გათავისუფლება მშრომელთა ქვეყნიერების და დაჩაგრულ ხალხების“ (142).

„რევოლუციონერი მუშაობა ბოლომდის! აი თანამედროვე ლოზუნგი თავისუფალ მოქალაქეების, რევოლუციის და ერთა განთავისუფლების პატიოსან მოღვაწეების“ (გვ. 143). კარგათ და ლამაზათ სწერს ბ. ლონტი! ასეთ სიტყვების და ყველა „პატიოსან რევოლუციონერების“ ლოზუნგის გადასაროლის შემდეგ, ალბათ ის შესავალი კუნჭულს მაინც მიუჩენს მებრძოლთა ბანაკში თავის სამშობლოს თავის საკუთარ ხალხს. მარა ნურას უკაცრავათ—განასუხებთ შეუდარებელი მკვლევარი, საქართველოს შესახებ ის განსაკუთრებული შეხედულების უფლებას იტოვებს და წიგნის დაქვის 5-ფურცელზე აქარწყლებს ყოველივე,

„რევოლუციონერი მუშაობა ბოლომდის! აი თანამედროვე ლოზუნგი თავისუფალ მოქალაქეების, რევოლუციის და ერთა განთავისუფლების პატიოსან მოღვაწეების“ (გვ. 143). კარგათ და ლამაზათ სწერს ბ. ლონტი! ასეთ სიტყვების და ყველა „პატიოსან რევოლუციონერების“ ლოზუნგის გადასაროლის შემდეგ, ალბათ ის შესავალი კუნჭულს მაინც მიუჩენს მებრძოლთა ბანაკში თავის სამშობლოს თავის საკუთარ ხალხს. მარა ნურას უკაცრავათ—განასუხებთ შეუდარებელი მკვლევარი, საქართველოს შესახებ ის განსაკუთრებული შეხედულების უფლებას იტოვებს და წიგნის დაქვის 5-ფურცელზე აქარწყლებს ყოველივე,

საქართველოს ცინებები კვლავ კომუნისტებით აივსო, მათ ღვეხას ისევ განაგრძობენ.

საბჭოთა რუსეთის-კი მუშათა დელეგაციას უკახანინ, რომ მჭიდრო კავშირს დაიკავონ რუსეთის სახელმწიფოსთან.

საქართველოს მუშებო და კლესებო! დიდ რუსეთთან დადებული ხელშეკრულება უკვე შელახულია მით, რომ ავტო თენახეარია, რაც ლეგალურათ გამოცხადებული ვარტია დაუხორციელათ იღვენება. საუკეთესო ამხანაგები ცინებში არიან გამოწვევდელნი და ისინი იქნამდე მიუყვანია ცინის ახალ რეჟიმს, რომ სიცოცხლეს სიკვდილს ამჯობინებენ! გუშინდენ შიმშილობა გამოაცხადეს, დეე გავიგოს ქვეყანამ, რომ კომუნისტებს სიკვდილის არ ეშინათ!

რაც მან მრავალ მწერალთა და მკვლევართა გამოკვლევების, დაუსრულებელი სტატისტიკური ცნობის და საკუთარი მსჯელობის მიმე არტილერით თითქოს დაიპყრო და უდაო ვახადა.

რა ვქნათ ჩვენ ქართველებმა ამ უდიდეს მოვლენათა ქარიშხლის დროს? შეუერთდეთ ბალშევიკურ კოალიციას, თუ ანტინტას? მითხველს ალბათ კიდევ ეოცება ეს კითხვა—რაღა საკითხავია, რაღა დროს მოფიქრება თქვენი გამოკვლევის შემდეგ!

მარა ბ. ლლონტი ისე ეთამაშება თავის ნარკვევს, როგორც კატა თავებს, ის თითონ მიუვებს თავის თავს: „ისტორიული და განყენებული თვალსაზრისით ამ კითხვებზე მზა-მზარეული პასუხი აქვს ჩვენი წიგნის მკითხველს. მარა ჩვენ საკითხის პრაქტიკულ ნიადაგზე უნდა გადავიტანოთ და ჩვენი დასკვნა ავგვოთ იმ ფიზიკურ და მატერიალურ ძალებზე, რაიც საქართველოს რესპუბლიკის განკარგულებაშია ამ ეამათ“-ო (გვ. 147) „მე რომ რუსი ვიყო,—განაგრძობს ის სახელად დარჩენილ მკითხველს „გამოშტერებას“-ერთ წუთსაც არ დაგარჩობდი რუსეთის საზღვრების გარეთ და ძირაძლის შევსებამდე ყველა მიქალაქებთან ერთად ჩემი ხალხის ფიალას, მარა მე ქართველი პატრიოტი ვარ, მიყვარს ჩემი ხალხი და მსურს, რომ მშენებნიერ საქართველომ იარსებოს და რომ მან მიადწიოს და შეითვისოს სოციალიზმი“ (გვ. 148) როგორ მოგწონთ. თუ იქნა ბ. ლლონტის მიაღ ფარდობანი კეთილშობილური სიტყვები და ლოზუნგები, რაიც მან ასე უხვათ გააბნია თავის წიგნის ცხრა მეათედ ნაწილში? რა იქნა და მამულიშვილურ მეშინინმა ჩაყლაპა, იმ მეშინინმა, რომლის „პრაქტიკული“ ფილოსოფიის კატეგორიული იმპერატორი გამოიხატება იმ იმერლის „მსოფლმხედველობაში“, რომელიც თავის ძმას ეუბნებოდა: შენ სათხარაში წაბრძანდი და მე ავტო ქორწილში წავეთრევიო.

ბ. ლლონტი, ვითარც ლოკოინა, ისე შეძგრა თავის პატრიოტულ ნიჟარაში, რომ განმოკარკულ თვალმის მეტი აღარა უჩანს რა: „მე წარმოდგენილი მაქვს კაპიტალისტური ხოცვა-ჟლეტის საშინელბანა და მით უფრო ვერიდები მას“-ო, და შემდეგ ადამის დროიდან იწყებს კაპიტალისტურ „ბოინის“ საშინელბათა მოთხრობას, და რაიც ავკარა ხდება, რომ „მოდურ“ ხელთათმანებში და წიწყლებთან მანქანებში არც რევოლუციის წარმოება შეიძლება და არც იმპერიალისტური ომის, ჩვენი მკვლევარი ფიცულობს: „დიდ ქვეყნებისათვის ომი შეიძლება მიზანიც იყოს და საქმეც (?), ჩვენთვის კი ყოველგვარი ომი—ავანტიურა და დაღუპვაა“. ასეთი ღრმა სოციალოლოგიური აქსიომის აღმოჩენის შემდეგ, ბ. ლლონტი სულ უფრო შედის როლში და აცხადებს: „საქართველოს რესპუბლიკა მოითხოვს მზრუნველობით და სათუთად (бережно) მოპყრობას და ამიტომ ის არ უნდა მიეკედლოს არც ინგლისის იმპერიალიზმს, არც მოსკოვის ბალშევიზმს“.

მგონი ყველაფერი გამოკვეული უნდა ეგონოს მკითხველს ასეთი „მანიფესტის“ შემდეგ, მარა ბ. ლლონტი ამით არ კმაყოფილდება, მისი აზრით ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ „მხარს ვუჭერთ კულტურას, ცივილიზაციას, დემოკრატიას და სოციალიზმს, სულ ერთია მოგვეყენება ეს კულტურა აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან თუ სამხრეთიდან.“—დიახ, ჩვენ არ ვითხოვთ ვისია სოციალიზმის პური, ოლონდ კი გემრიელი იყოს ის—„პასობებს“ შეჩვეულ მამულიშვილები სოციალიზმის „მოვლინებასაც“ რომელიმე ქვეყნის სათავად-აზნაურო ბანკიდან ელან ტრადიციული სამოწყალა პენსიის სახით. გასაოცარი კი არის—რა იქნა, რომ ცამ ჩაყლაპა წინასიტყვაობაში ნაქები „ძალთა კოორდინაცია და მებრძოლთა მჭიდრო შეკავშირება“

იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რაიც „ჩვენ ახლობელ მიზნათ და მოვალეობათ“ იყო გამოცხადებული? სად გაძვრა „საბოლოო თვითგამორკვევა“, „კომპრუნისმის“ უკუგდება და „ლირსული ერის ღირსეული ბრძოლა“? ყველა ამებმა თქვენი და ბ. ლლონტის ქირი წაიღო და ჩაილულის წყალი დალია ფედერალისტის აზროვნობის გამჭვირვალე წყაროსთან.

ალარ ღირს „დასკვნის“ ციტატების მოყვანა კიდევ—ყოველი სტრიქონი იქ ნამდვილი ობოლი მარგალიტია გაბერილი ფრაზეოლოგიის და დაჩაივებულ, კულმოკვეცილ მეწერილმანურ რევოლუციონერობის. მაგრამ ორიოდ მაგალითი კიდევ საკმაოთ მარკვეციული აღტყინების: ყველა ძალზე გაბერილ და სიცოცხად „ძირითად დებულებების“ შემდეგ, ბ. ლლონტი, ალბათ მკითხველის გასამხიარულებლათ, სწერს: „ჩვენი ქვეყანაში ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტები, ვეწვიეთ სოციალიზმის იდეის პრობანდას, ვაფასებთ აწმყო ისტორიულ ხანას, როგორც ვადამავალ მომენტს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში, ე. ი. დახლოვებით ვაწრმოვით იმ პოლიტიკას, რომელიც ასე ნათლათ გამოიხატება ბალშევიკებმა თავიანთ „წესებების პროექტში“. ამის შემდეგ ბ. ლლონტი, ვიდევლის შესაფერისად დასასრულებლათ, ფენის თითებზე დგება და ტრაგიკული ხმით მეტყველებს: „ჩვენ ვესურს თითონაც ვიცხოვროთ, და სხვებაც ვაცხოვროთო...“ მარა „თუ ჩვენი ხალხისმწერი პოლიტიკა ვერაფერს ვაიყო... ჩვენ მეტი არაფერი დავგრჩენია, უნდა მოვიკრიბოთ ხალხის ძალა და დამოუკიდებელ ბრძოლაში დავსდეთ თავი ჩვენი ძვირფასი სამშობლოს უფლისთვის!“

ფარდა ეშვება და ჩვენი „პოლიტიკო-ეკონომიური“ გამოკვლევის ავტორიც, ევროპა-აზიაში ცოტა ხნის ექსპურსიის შემდეგ თავისი პატრიოტული ნიჟარით ბრუნდება მართლმორწმუნე მამულიშვილურ-ფედერალისტურ ბანაკში.

ღირდა კი მშენებნიერი ქაღალდის ასე დაუხოვავათ დახარჯვა ასეთი უშედეგო ექსპურსისათვის? 6. გ.

სიხალგის ავტორი სიხალგის გვანახებს!

ჩვენს უჩანასკნელ პასუხში მოქ. რაქ დენიძემ ორი ფიქტიური (და არა ფიქტიური— დემოსიდე) სიხალგე აღმოაჩინა. (იხ. „ერთობა“ 175 №). ჩვენ რომ მასი მართლა და ნამდვილი სიხალგეების აღმოჩენას შეესდგომოდით, ათს და ოცს მოგახავდით. მაგრამ ეს ჩვენ მიზან-შეწონილათ არ მივიჩნიეთ და არც ახლა ვთვლით. საჭიროა მხოლოდ, რომ მკითხველი მისკან მართლა მოტყუებულარ დარჩეს, მისი „ფაქტიური შენიშვნა“ აქვე გავაბათილოთ.

ა) სიხალგე თურმე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მისი წერილიდან ციტატა იმდენი და ისე არ მოვიყვანეთ, რამდენიც და როგორც მას სურდა. იქნებ მას ისიც სურდა, რომ მთელი მისი პასუხი ჩვენი ვახეთის ფურცლებზე მსხვილი ასო-მთავრული ასოებით გამოგვეფინა, მარა ამას ხომ ჩვენ ვერ ავყვებით! კითხვა „დემოკრატიზმის“ სარგებლობას და გამოყენებას შეეხებოდა და ეს ჩვენ მისივე სიტყვების „შეკვეცილათ“ მოყვანილ აღენიშნეთ და თან დაუმატეთ: „და სხვა...“ და აი ეს „სხვა“ სიტყვები, რომლებიც დღეს მოქ. რაქ დენიძეს ხახვასმით მოპყავს, ჩვენ საჭიროთ არ დავინახეთ, ვინაიდან ის გვეუბნება იმაზე, თუ რისთვის და ვისთვისაა სასარგებლო და გამოსაყენებელი „დემოკრატიზმი“, თუნდაც ბურჟუაზიული. ეს კი ჩვენთვის უდაო და უცილობელი იყო, რაიც ჩვენს პასუხში ნათლათა ნაჩვენები და ამიტომაც იქ სიტყვა არ გავაგრძელებთ. ჩვენ გვეონია, რომ ყველასთვის აშკარა და ცხელია, თუ „დემოკრატიზმი“ ვისთვის ან რისთვის გვინდა. აქ საღია არაფერია.

საღია აქ მხოლოდ ისაა, თუ რა „ჯგუროს“ დემოკრატიზმი გამოხატავს უკეთ და პირდაპირ პროლეტარულ დიქტატურას. აი რა კითხვებზე უნდა ვუპასუხებდეთ ჩვენ, და ვუპასუხეთ კიდევ: რომ „მუშათა კლასისათვის ბურჟუაზიული წყობილების გარდაქმნის და სოციალისტურ წყობილების, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურისათვის“ აუცილებლათ საჭიროა პროლეტარული და არა-ბურჟუაზიული (თქვენებურათ პოლიტიკური, დემოსიდე) დემოკრატიზმი-მეთქი. საღია აქ სიხალგე ან აზრის შეცვლა? ან იქნებ მოქ. რაქ დენიძეს სურს, რომ მათი ბურჟუაზიული „დემოკრატიზმი“ ჩვენც რაღაც ახალ მომავალ აუცილებელ საქირობებთ ჩავთვალოთ დღევანდელ პირობებში პროლეტარიატის დიქტატურისათვის? ნუ ვაგვიწყრება ზვიადი მოქალაქე და ამაზე ჩვენ გადაჭრით უარი უნდა ვუთხრაოთ ისე, როგორც მას ამაზე უარს ეტყოდნენ მის მიერ შეფთოებული მარქსი, ლიუქსემბურგი და თვით „ძველი კლუკი“, რომლის რევოლუციონერობაც დღეს ვითომ რაქ დენიძესაც სწამს.

ჩვენ ყველას გასაგონათ ვთქვით, რომ ბურჟუაზიული დემოკრატიზმი სასარგებლო იყო ერთ დროს, თუგინდ აუცილებელიც, ისე როგორც ბურჟუაზიული ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური განვითარების აუცილებელი საფეხური (ესეც ხომ სიხალგეთ არ მოგჩვენებთ? დემოსიდე) და ეს საფეხური საერთაშორისო-პროლეტარიატაც კიდევ განვლო საერთოთა და ისარგებლა, გამოიყენა კიდევ, რამდენათაც მას ისტორიული პირობები ნებას აძლევდა. ახლა ეს ისტორიული პირობები შეიცვალა და მას კითხვა დაუქნა არა „დემოკრატიზმის“ გამოყენებისა, არამედ თავისი დიქტატურის ახალი ფორმის, ახალი დემოკრატიზმის შექმნისა. და აი ამ ახალ ფორმაზე მოვასხენეთ ჩვენც მოქ. რაქ დენიძეს. ის კი თავს იკატუნებს, თავს მორცხვით ძირს იხრის და ბუტბუტებს: „მაგრამ მე რა შუაში ვარო, რომ ისტორიული პირობები შეიცვალა და დღეს ბურჟუაზიული დემოკრატიზმი არ გამოდგაო.“

თქვენ „იმის შუაში ხართ“, ბატონო რაქ დენიძე, რომ თქვენ ყველაფერი ეს გესმით და მაინც ბატონობის შენარჩუნებისთვის ეინით ვატაცებულთ, პროლეტარიატის დიქტატურის ნაცვლათ ბურჟუაზიის გამაგრებას უწყობთ ხელს. აი სად არის ნამდვილი სიხალგე!

ბურჟუაზიის ამაგრებთ და თან გამაყვებული მედიდურობით ვაძიხებით: პროლეტარიატის დიქტატურას ვემსახურებო.

რაც შეეხება მეორე ბ. ვითომდა სიხალგეს—პარიზის „კომუნაზე“ მარქსის აზრს და ამ კომუნასთან საბჭოთა რუსეთის კომუნის დაპირდაპირებას, უნდა მოვასხენოთ, რომ ამაში ჩვენ მხოლოთ იმ კითხვის წამოყენებას ვხედავთ, რაც თქვენ პირველი წერილის ბოლოში გამოატყობთ. თქვენ გსურთ ერთი მხრით, გაემოგვეთ მარქსის იმ ნაწერების მიზანრის, რომელიც პარიზის კომუნას შეეხება, მეორე მხრით დავისურათოთ საბჭოთა რუსეთის დღევანდელი კომუნა საესებით და მესამეთ დავიმტკიცოთ თქვენი მხრით და მით უფრო ჩვენი მხრითაც, მაგრამ ერთი ეს ვებრძანათ: განა ამ სურვილის გამოხატვას არ ემსახურება მთელი ჩვენი მოქმედება, მწერლობა, ფიქრი და ზრახვა?

რა უყო, რომ თქვენ ეს არ ვაკმაყოფილებთ. თქვენი „ფსიხოლოგიის“ შეცვლა ჩვენ ხელთ არის. ეს უფრო თქვენზე დამოუკიდებელი, მხოლოთ ერთს გარჩევთ: დაატყენთ ძალა თავს, ჩაუკარდით უფრო ღრმად იმ თქვენ მიერ ათვალწუნებულ მწერალთა ნაწარმოებს:

ლენინს, მუხარინს და სხვებს და იქნებ მაშინ მაინც შემცნოთ ჭეშმარიტათ მარქსის, ენგელსის და „ძველი კლუკის“ ნაწერების დედა აზრები; იქნებ შესძლოთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ხლართის თაიდან ამორება და პროლეტარული იდეოლოგიის შეთვისება! თვარა ჩვენ თქვენთვის დრო არ დავგრჩენია: ჩვენ ისედაც ბევრი გვაქვს სამკალი, „ხოლო მომკლათა რიცხვი ესოდენ მცირეა“.

დემოსიდე.

საბჭოთა რუსეთის პრესა

ფრთხილად მოსახვევებში.

3 ივლისს დაიწყო ჩვენი შეტევა პოლოცკის ფრონტზე.

სულ რაღაც ათი დღის განმავლობაში ჩვენ დიდი გამარჯვებები მოვიპოვეთ დასავლეთის ყველა ფრონტებზე.

ყველასათვის გასაგებია ის სიხარულის გრძობები, რომელთაც იწყებს ჩვენში მკამარჯვებები. ამ გამარჯვებებში საბჭოთა რუსეთის მასები ხედავენ არა მარტო პოლონეთის შლიახტის დამარცხებას, არამედ საბჭოთა რუსეთის ბრწყინვალე ძლევა-მოსილებას.

არ შეიძლება არ გვახარებდეს ეს გამარჯვებები, მაგრამ არ შეიძლება მისი არც გარდაფასება. არ უნდა ვაფიქროთ, რომ ერთხელ და სამუდამოთ დავამარცხეთ პოლონელი ბატონები, რომ ამის შემდეგ ჩვენ საღდესასწაულო „მარშით“ შევივლითა წავიდეთ ვარშავისაკენ. ჩვენ ვაგვეთ პოლონელ ბატონებს ბევრი დამარცხება, დავაკავთ კიდევ ვრცელი ტერიტორია, მაგრამ ჩვენ სამუდამოთ არ ვაგვინადგურებია პოლონეთის შლიახტა. პოლონეთის არმია დიდ წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ უკან იხეცს. ამავე დროს საფრანგეთ-პოლონეთის გენერლები აზადებენ ახალ პოზიციებს, სადაც ფიქრობენ შეჩერონ ჩვენი შეტევა.

გარდა ამისა, პოლონეთის ბატონებს ჰყავთ მოკავშირენი, მოკავშირენი, რომლებმაც ფული მისცეს პოლონეთს, რომ ის თავს დასხმოდ რუსეთს. პოლონეთის მოკავშირენი ფიქრობდენ ერთი-საღ აელოთ ეს ფულები რუსეთის განადგურების შემდეგ. საფრანგეთის და ინგლისის ბანკირებს არ უნდათ რომ დაკარგონ თავისი ფულები, ისინი ვაპყვიან იმაზე,

რომ ინგლისი და საფრანგეთი დაეხმაროს პოლონეთს.

საფრანგეთის ბურჟუაზიულ წრებში ვაგვლიანი ფრანგული გაზეთი: „ჟურნალი დე-დება“ სწერს: „აუცილებლათ საჭიროა დავხმაროთ პოლონეთს ბალშევიკების საფრთხის თაიდან ასაცილებლათ“.

ლოიდ-ჯორჯის გაზეთი — „დელი კრონიკლი“ აცხადებს, რომ „მოკავშირენი ვალდებული არიან ყოველგვარი ზომები მიიღონ თავისი მოკავშირე პოლონელთა დასაცავათ“. ინგლისის გაზეთი — „დელი გერალდი“ სწერს, რომ მარშლები ფოში და ვილსონი განუწყვეტლივ თათბირობენ, რომ ისინი „დიდი“ ომისათვის ემზადებიან რუსეთის წინააღმდეგო.

პოლონეთის ჯარების დამარცხების გამო რუმინის მთავრობამ გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია. როგორც ბერლინიდან მოსული ცნობებიდან ვტყობთ—რუმინის მთავრობას უკვე ვაუზავნია სამხედრო დელეგაცია ვარშავში სამხედრო კავშირის შესაკრეფლათ.

ბულგარეთში ფიქრობენ, რომ შესაძლებელია რუმინის გამოსვლა პოლონეთის მხარეზე.

ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია რომ პოლონეთის ბატონებთან ბრძოლა ჯერ კიდევ არ არის დათავებული, რომ ჯერ კიდევ მოგვიხდება დიდი ენერჯის დახარჯვა. ამიტომ ჩვენ ერთ წუთსაც, თუნდაც ბრწყინვალე გამარჯვებების დროსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ სამუდამოთ დავამარცხებთ მტერს მაშინ. თუ გოარკვევებული ენერჯით და დაუღალავი შრომით მოვეკიდებით საქმეს.

რამდენათ ენერჯიული იქნება ჩვენი მუშაობა, იმდენათ მოვიახლოვებთ გამარჯვებას, იმდენათ ნაკლებთ საფრთხე იქნება იმის მხრივ, რომ რომელიმე იმპერიალისტური სახელმწიფო შესდგება ახალი ავანტიურის ვახზე, რომ დაეხმაროს პოლონეთს, წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებმა კიდევ უფრო უნდა ვაგვიორკიცოს ენერჯია მტრის საბოლოო გასანადგურებლათ.

„პრავდა“ № 155.

16 ივლისი.

ინტერნაციონალის ბარშაეო.

მესამე ინტერნაციონალის კონგრესზე.

გაზ. „პრავდა“ აღნიშნავს იმ პირობებს, რომლის მიხედვით შეიძლება მესამე ინტერნაციონალში შესვლა, ის სწერს: მესამე ინტერნაციონალის კონგრესი შეიქნა შემთანხმებელთა ცოდვის მოწინაიების თაიგის სტერეოტი. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის წარმომადგენლებმა კაშენმა და ფროსარმა გულახდითათ აღიარეს თავის ცოდვები.

ინგლისის დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიის წარმომადგენლები თავისი პოლიტიკური ქანაობაში თავს იმართლებენ მით, რომ მათ უხდებოდათ ბრძოლა მემარჯვენე სოციალისტებთან, რათა გადმოეყვანა ისინი თავის მხარეზე. ინგლისის დამ. სოც. პარტიის წარმომადგენლები აღტყმას იძლევიან, რომ ახლო მომავალში ისინი შესძლებენ დააყენონ მთელი პარტია რევოლუციონერულ-კომუნისტურ მსოფლ-მხედველობის საფუძველზე.

საფუძველზე.

ამ კონგრესზე გამოიკვია, რომ ცენტრის პარტიის ბელადების იდეურა სიკოტრე უკვე მომხდარი ფაქტია. ისინი თუმცა გამოვიდენ მეორე ინტერნაციონალიდან, მაგრამ მესამე ინტერნაციონალს მხოლოდ შუა ვახზე დგანან. ეს ნათელი დამამტკიცებელი იმისი, რომ ცენტრის პარტიის ლიდერები ჯერ კიდევ ვერ მომწიფებულან მესამე ინტერნაციონალში შესავლელად.

კონგრესზე წარმოებული დებატები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა ეს მხოლოდ გარდაქმნის პროცესის დასაწყისია. ეს არის ევროპის სოციალისტურ პარტიების გაწმენდის დასაწყისი. ისინი უკვე გაიტაცა რევოლუციის და მისი მანქანის ფრთის მოძრაობამ.

ძველ პარტიებმა უნდა გადასინჯონ თავიანთი პროგრამები, უნდა განახლონ პრესა და რადიკალურათ უნდა შესცვალონ პარლამენტარული ფრაქციების პოლიტიკა.

გიულეტენი პრესგიუროსი

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

საბჭოთა რუსეთში

მოსკოვი, 3 აგვისტო. მოტანილია ასეთი ხარისხის ნივთები, რომლების საშუალებით შექმნება გვერდულა გავაფართოვთ ტრანსპორტის შეკეთება. მაგა-

ლითად მოტანილია 800 ათასი ფუთი ფუჯი და 600 ათასი ფუთი ფურცილი რკინა.

ჩვენი გამარჯვებების გამოძახილი. მოსკოვი. ინგლისის ლიბერალური გა-



კარი და გაუნადგურა ყოველივე მათი ნაშრომი. მთელი ნახევარი სოფელი იძულებული გახდა ვისაც რა შერიპი წავალიოთ და აყრილიყენენ თავიანთი მამა-პაპური ადგილებიდან სხვა სადგომი მიწების საძიებლად. დაბოლოს იძულებული ხებიან იყიდონ სამოსახლო მიწა ერთიდან და დასახლდნენ; ზოგი რჩება ჯერ-ჯერობით ნახევრათ დანგრეულ ქსენებში იმ იმედით, რომ მოუვლიდათ მოსახელი და მამის შესძლებდნენ სამოსახლო მიწისა და სხვა საჭირო-საგნების შექენას, მაგრამ მოლოდინი გაუტრუნდა. მოვიდა სეტყვა და განადგურა ნაწილი ვენახებისა და უმთავრესად პურის ყანები. სიმინდიც საგრძნობლად დასეტყვა. აქ აღარ არის საჭირო იმის აწერა თუ რა მდგომარეობაში ჩაცვივდებოდა მშრომელი გლეხკაცი. ამას თითონ მკითხველი წარმოიდგენს, ასეთია მოკლეთ კახელი გლეხის მდგომარეობა და მის ტანჯვის ბოლო არ უჩანს. ვინ განათავისუფლებს მას ამ ტანჯვისაგან? ვინ არის მისი ნამდვილი დამხმელი და მეგობარი? საითკენ არის მისი გზა რომ თავი დაახვიოს აუტანელ შრომასა და სიღუპეობას? აი კითხვები, რომლებიც უნდა აინტერესებდეს კახეთის მშრომელ გლეხკაცობას.

სანი.

სასტუმარ-გარეთ.

აგარაული მოძრაობა პომერანიაში.

ითქმის მთელ პომერანიაში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა აგარაულ ნიადაგზე. გლეხების აჯანყება ტრანსილვანიაში.

ტრანსილვანიაში (რუმინია) იფეთქა გლეხთა აჯანყებამ. აჯანყების ჩასაქრობათ ბელენიემი (ტრანსილვანია) რუმინელმა მოხილხიზანთა უწყვეს მიუღლი იფიზიას. დამას უმბარებს უშენდენ არტილერიადან. კლაუნენბურგში მოიყვანეს აუარებელი დაქრილი რუმინელი ჯარისკაცები. თვით დაბა ბელენიემი ბევრია დაჭრილები. მთელი ოლქი, სადაც აჯანყებამ იფეთქა, ჯარებით არის გარემორტყმული.

მუშათა წერილები

ბ. ა. კ. — ას საპასუხო წერილის გამო

გაზ. „ერთობის“ 171 №-ში მოთავსებულია ბ. ა. კ. — ას წერილი, ჩემი საპასუხო განცხადებით და პირდაპირობით ფარდას გლეხთა ოპორტუნის სოციალ-დემოკრატიული ჩვეულებრივ შეხედულებებს სახელმწიფოებს; და მეორეც ის, რომ ამ ოპორტუნისტულ შეხედულებათა გასწორება, ცნობა-აღიარება საბჭოთა ძალაუფლების და მისი უმჯობესობის ბურჟუაზიულ პარლამენტარულ დემოკრატიასთან შედარებით, ყოველივე ეს ყველაზე ადრე და უფრო ფართოდ ჩვენ მიიღეთ ევროპის და ამერიკის სოციალისტურ პარტიების სწორეთ მარქსისტულ მიმდინარეობათა საშობადან.

იყო ორი შემთხვევა, როცა ბალშევიზმის ბრძოლამ მის პარტიაშივე „მარცხენისკენ“ გადახრის წინააღმდეგ განსაკუთრებული ფართო ხასიათი მიიღო: ეს იყო პირველად 1908 წ. იმ საკითხის გამო — საჭიროა მონაწილეობის მიღება ურეპუბლიკურად „პარლამენტში“, და აგრეთვე რეპუბლიკურ კანონებით შემოღებულ მუშათა საზოგადოებებში მონაწილეობის მიღება თუ არა? მეორეთ 1918 წ. (ბრესტის ხელშეკრულება) იმის გამო — დასაშვებია თუ არა ესა თუ ის „ომპროვისა“?

1908 წ. „მემარცხენე“ ბალშევიკები გამოიცილულ იქნენ ჩვენი პარტიიდან ამის გამო, რომ მათ არ სურდათ გავება ურეპუბლიკურად „პარლამენტში“ მონაწილეობის საჭიროების. „მემარცხენეები“ — რომელთაგან ბევრი საუკეთესო რევოლუციონერები იყვნენ და რომელნიც შედეგად პარტიისათვის ატარებდნენ (და ახლაც ატარებენ) კომუნისტური პარტიის წევრების სახელს — გამსაკუთრებით ეყრდნობოდნენ 1905 წლის ჩინებულთა ჩატარებულ ბოიკოტის გამოცდილებას როცა მეფემ 1905 წლის აგვისტოში გამოაცხადა ხათათბირო „პარლამენტის“ მოწვევა, ბალშევიკებმა მისი ბოიკოტი

სუხო წერილის გამო, სადაც აღნიშნული მქონდა, თუ როგორ უდიეროთ ეცევიან მენშევიკები მთავარ სახელოსნოს მუშებს, როდესაც შეამჩნევენ მათ რაიმე უკმაყოფილებას, რომლის მსგავსს ადგილი ჰქონდა 4 ივნ. პურის ულუფის დაკლებაზე, სადაც მუშებმა პროტესტი განაცხადეს მათი ასეთი საქციელისათვის, რისთვისაც დათხოვნილ იქნა რამოდენიმე მუშა, როგორც „ანარქისტის“ მომხდენი, სამშობლოს „მოლაპატნე“. ამავე დროს გაპყვირან, ჩვენში დატულია სიტყვის, ბეჭდვის და კრების თავისუფლება. როდესაც ყველა ამაზეზე მიუთითებ და შევეკითხე ბ. ა. კ. — ას, გახეთის გახეთის საშვალებით, თუ როგორ ესმით მათ, მენშევიკებს, მუშათა სიტყვის, ბეჭდვის და კრების თავისუფლება, რომელიც განიცდის მათ მიერ დევნას, და ამავე დროს ქვეყნის უზრუნველ საკულუანტები სარგებლობენ განუსაზღვრელ თავისუფლებით მშრომელთა მისი ტყავ-გასაძრობით, რომლის დამამტკიცებელია ჩვენი ბაზრები. მეორე თუ ვრონტი არსებობდა მუშებისათვის განაიგი არ არსებობდა მდიდრებსათვის რომლის ზურგს უკან ისინი სუქობიან? ფრონტისთვის მუშებიდან წაიღეთ შავი პური, უყეთესი არ იყო მდიდრებისაგან წავეღოთ თეთრი პური მეთქი?

მე დიდის ყურადღებით მსურდა — მომესმინა მოწინააღმდეგის აზრი ამ კითხვებზე, მაგრამ დავივი განცვიფრებული როდესაც წავიკითხე ბატონ ბ. ა. კ. — ას საპასუხო წერილი, სადაც ზემო აღნიშნულ კითხვებზე, არც ერთი პასუხი არ იყო, გარდა ერთი დაუკვირებელ — ნაქართველი წამოსროლილი სიტყვისა: „ჩვენ არა ნაკლებ გვჭულს ბურჟუაზიათ“, თუ არა ვცდები, ეს შეცდომით წამომცდარი სიტყვა უნდა იყოს, ამა რით აიხსნება ის, რომ ციხეები თითქმის უკმაყოფილო მუშებითაა სავსე, და ბაზრები კი თავისუფლათ მოვაჭრე ბურჟუა-საქეკულიანტებით, თავიანთი გძელ ჯიბეების გასასქელებლათ? — ვითომ წარმოების ასახვევებლათ? ვეკვობ, მაგრამ იმედია, ამ ნააქარევათ წარმოთქმულ სიტყვაში, კორექტიურ შესწორებას შეიტანენ მისი კოლეგები, და „ბ. ა. კ. — ას“ შეცდომას გამოასწორებენ. გარდა ამისა, ზემო აღნიშნულ კითხვების მისაფუძვლათ, რომ ის არ გაუჭებულყოფი მზის სინათლეზე, და არ ყოფილიყო მათთვის არა სასიამოვნო სანახავი; სიტყვა ბანზე აადლო

გამოაცხადეს წინააღმდეგ ყველა ოპოზიციონურ პარტიებისა და წინააღმდეგ მენშევიკებისა, და იმავე წლის ოქტომბრის რევოლუციამ მართლა წააგდო ის. მაშინ ბოიკოტი სწორი გამოდგა არა იმიტომ, რომ თითქო სწორი იყოს საზოგადოთ რეპუბლიკურ პარლამენტში მონაწილეობის მიუღებლობა, არამედ იმიტომ, რომ სწორათ იყო დაფიქრული ობექტიური მდგომარეობა, რომელიც სწრაფათ აქცევდა მასიურ გავიტვას პოლიტიკურ, შემდეგ რევოლუციონურ გაფიცვათ და ბოლოს აჯანყებათ. და ამასთანავე, ბრძოლა სწრაფობდა მაშინ იმის გამო — დავანებოთ მეფეს თითონ მოიწვიოს პირველი წარმომადგენლობითი დაწესებულება, თუ შევეცადოთ ეს მოწვევა გამოვგლიჯოთ ხელიდან ძველ მთავრობას. რამდენათ არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო სრული რწმენა ანალოგიურ ობექტიურ მდგომარეობის არსებობაში, და აგრეთვე მის განვითარების მგზავს მემართლებასა და ტემპში, იმდენათ მოიკოტი აღარ იყო სწორი.

„პარლამენტში“ ბალშევიკურმა ბოიკოტმა 1905 წ. რევოლუციონური პროლეტარიატი გაამდიდრა გაუზომელი მნიშვნელობის პოლიტიკური გამოცდილებით, ნათელ ჰყო რა, რომ ბრძოლის ლეგალურ და არალეგალურ, პარლამენტარულ და არაპარლამენტარულ ფორმების შეერთების დროს ხანდახან სასარგებლოა და სავალდებულოც კი პარლამენტარული მეთოდების უარყოფა. მაგრამ ამ გამოცდილების ბრძოთ, მიზანმიმართულ და არაკრიტიკულად გადატანა სულ სხვა პირობებში, სულ სხვა გარემოებაში უდიდესი შეცდომაა. სულ მეორე და ადილათ გამოსასწორებელი შეცდომა იყო უკვე 1906 წ. ბალშევიკების მიერ „სათათბიროს“ ბოიკოტი.

ბატ. „ბ. ა. კ. — ას“ დი დაიწყო კამათი რუსეთის მესხებზე „ბ. ა. კ. — ას“ 400 მან. ჩვენში კი 30 მან., ბატ. „ბ. ა. კ. — ას“ მე-კიდევ უკეთეს გეტყვიდით, თვითმურხობლობის დროს პური ღირდა 3 კაპეიკი, რომელიც ახლა ღირს 30-40 მანეთი, გეკითხებით, ახლა რომელი ვირჩენიანთ — თვითმურხობლობა თუ დემოკრატიული რესპუბლიკა? საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ ბრძანდებით ასეთი „სალი“ მსჯელობის ადამიანი მემწინინი თუ სოციალისტი? გარდა ამისა თქვენ უნდა იცოდეთ, რუსეთში თავისუფალი ბაზარი არ არსებობს. 200 მანეთად და კიდევ უფრო მეტი ღირს იქ დაფარულად, ან უკეთ რომ ვთქვათ ნაპარევათ გაყიდული პური, ხოლო მუშებს კი საზოგადოთ იმით, ვინც კი მუშაობს პური ეძლევათ ხელსაყრელ ფასებში, მუშათა მთავრობის მიერ სწორედ ამიტომ, რომ იქ მუშები ასე თავემორიდებით იცავენ საბჭოთა მთავრობას.

ბატონ „ბ. ა. კ. — ას“ კი რუსეთის სიძვირეს ზოგის ბურჟუაზიის თავისუფალ საქეკულიაციის ბაზრათ, ალბათ, მეგობრული გრძნობა თუ ავალებს მას ანას. მესმის თქვენი მდგომარეობა, ეს რომ ასე ავებსნათ თქვენი მკითხველებისათვის, მაშინ რას უზამდით მენშევიკურ ლოლიკას?..

სწორეთ ამიტომ მეც არ გამოგვიკიდებოთ. მხოლოდ ერთი რამ არის აღსანიშნავი. თქვენ ბრძანებთ: „როდესაც რუსეთის მუშათა აუტანელ მდგომარეობაზე მიუთითებ ბატონ პარმენს, და სასათვე პირი იბრუნა რუსეთიდან და საქართველოზე დავეწყო ლაპარაკი“, ერთი რომ, კითხვა იყო მთავარ სახელოსნოს მუშათა ცხოვრებაზე და არა რუსეთისაზე, ამიტომ ამ კითხვის განხილვას არ შეეხებოდა; გარდა ამისა საჭირო იყო ცოტადენი ზრდილობა და ლოლიკა მსჯელობის დროს: ერთი რომ რუსეთის მუშების ხსენებაზე თქვენ პირი უნდა გამოირეცხოთ, როგორც უღირსმა წმინდანის საამბოროთ. მეორეთ, თუ რანაირი მდგომარეობაშია რუსეთის მუშები, ამის მაჩვენებელია მუშათა თავანწიროული დაცვა არსებული საბჭოთა წყობილობის, და მთელ ქვეყნის მუშების მისდამი სიმამართა, რომელიც მისწრაფებენ სოსკოვისაკენ და არა მენშევიკურ თბილისისაკენ მიუხედავთ თქვენი „გაგეროვილობისა“. მესამეთ, კი არ უნდა გავმასხარადეთ

*მეტათ სერიოზული და ძნელათ გამოსასწორებელი იქნებოდა ბოიკოტი 1907-1908 და შემდეგ წლებში, როცა ერთი მხრით მოსალოდნელი არ იყო რევოლუციონური ტალღის მალე აწევდა მისი გადატევა აჯანყებათ, და როცა, მეორე მხრით, აუცილებლობა და საჭიროება ლეგალური და არალეგალური მოქმედების შეერთების გამომდინარებდა მთელი იმ გარემო პირობებისაგან, რომელშიაც მოქცეული იყო განახლების გზაზე შემდგარი ბურჟუაზიული მონარქია. როცა ახლა ვიხედებით უკან განვლილ პერიოდისკენ, რომლის გადაჯაჭვა მის მომყოლ პერიოდებთან უკვე სავსებით გამოაშკარავებულა, — განსაკუთრებულათ ნათელი ხდება, რომ ბალშევიკები ვერ შესძლებენ შეინარჩუნებას (აღარ ვლაპარაკობთ; გამაგრება-განვითარება-გამდიდრებაზე) პროლეტარიატის პარტიის მავარი შუაგულისას (ррoчaсo ядрo) 1908-1914 წ. წ. წ. მათ რომ უსასტიკეს ბრძოლაში არ დევცვათ ის პრინციპი, რომლის მიხედვით სავალდებულოა ბრძოლის ლეგალური და არალეგალური ფორმების შეერთება, აგრეთვე სავალდებულოა მონაწილეობა ურეპუბლიკურად პარლამენტში და მთელ რიგ დანარჩენ, რეპუბლიკურ კანონებით, შემოფარგულ დაწესებულებებში (მაგ. დამხმევი კასებები და სს.).

(შემდეგი იქნება).

* პოლიტიკის და პარტიების შესახებაც ის ითქმის — შესაფერისი ცვლილებით — რაც ცალკე ადამიანის შესახებ შეგვიანია არა ის, ვინც შეცდომებს არ უშვებს, ასეთი ადამიანი არ არსებობს. კვანძი ის, ვინც უშვებს არა არსებობთ მნიშვნელობის შეცდომებს, მარა ვინც იცის მათი გამოსწორება ადილათ და სწრაფად.

ბატონის, რომ პეტროგრაფ და მოსკოვის მუშებს, ჩვენს მასწავლებლებს, რომელსაც დიდი ხნის რევოლუციონური ბრძოლის ისტორია აქვს და რომელმაც ტელეგრაფით გამოგვიგზავნა რევოლუციონერი 1917 წ. 27 თებერვალს, — თბილისიდან ვასწავლიდეთ მათ, მუშათა ინტერესების დაცვას და თავიანთი კლასიურ შეგნებას.

პარმენი.

მუშათა სწორება ჩვენში.

მუშათა ახალგაზრდების ყვლევა. თფილისის ვაჭარ-საქეკულიანტებს ჩვეულებათ აქეთ დაიქირაონ მცირე წლოვანი მუშები, — რომლებსაც ყვლევენ ისე, როგორც მოეპრინებთ. ეს ბევრათ ხელსაყრელია მათთვის, რადგან ბავშვებს არ შეუძლიათ თავისი ინტერესების დაცვა ისე, როგორც ამის შესძლებენ ძველი, მომზადებული მუშები, ვინაიდან ეს უკანასკნელი ამში მეტად გამოცდილი არიან. ვაჭარ-საქეკულიანტებსაც ეს უნდათ. ისინი უპასუხისმგებლოთ ყვლევენ ამ პატარა მუშებს ორი მხრით: ერთი, რომ მცირე ჯამაგის აძლევენ და, მეორეთ, იძულებულს ხდიან ბავშვებს რამოდენიმე მუშის საქმე ასრულონ სავაჭრობებში თუ სხვაგან.

მეტყვეთა შორის.

სამხედრო უწყებაში მომუშავე მეტყვეთა შორის არა სასიამოვნო მოვლენას ქონდა ადგილი. მუშების ერთმა წარმომადგენელმა ამ დღებში ფიზიკური შეურაცყოფა მიაცენა მუშას. საერთოთ „დერჟიმორდულ“ წესებს აქ ხშირად აქვს ადვილი. მეტყვეთა კავშირის გამეგობამ გადასცა კავშირის მთელი ქონება ახალ გამეგობას ახალი გამეგობა შეუღდა თავის თანამდებობის ასრულებას. მუშებში უკმაყოფილება ასეთი ძალადობის გამო, როგორც იყო ძველი გამეგობის ძალით გარეკვა.

სასტუმარ-გარეთ.

უმუშავართა დემონსტრაცია გერმანიაში.

7 ივლისს ბერლინში მოხდა უმუშევრობის საპროტესტო მუშათა მასიური დემონსტრაციები. რიესტაგის სახლის წინ სიტყვა წარმოსთქვეს სამივე სოციალისტურ მიმართულების პარტიების ორატორებმა. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც (?) მოითხოვენ მთავრობისა და ქალაქის თვითმართველობებისაგან მიეცეს ყველა უმუშევართ სა-მუშაო უმუშევართა საბჭოს კონტროლის ქვეშ. რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე აღდგინონ იქმნა სავაჭრო და მოკიდებულება ყველა ქვეყნებთან, უპირველესად ყოვლისა კი საბჭოთა რუსეთთან. დემონსტრაციაში ღებულობდა მონაწილეობას 30 ათასი კაცა.

ბ. ა. კ. — ას მინისტრის განცხადება.

ჩვენ პოლიტიკური ტუსალები (კომუნისტები) რიცხვით 9 კაცამდე ვაცხადებთ შემდეგს;

- ჩვენ, დამწყვედული ვართ რა № 1-ს საგუბერნიო ციხეში რამოდენიმე თვე (2 დან — 6 თვემდე), არავითარი ცნობები არა გვაქვს ჩვენი საქმეების მდგომარეობის შესახებ. გამოვდივართ რა აქედან, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკის წარმომადგენლებისათვის დასახლებული ვადა სავსებით საქმარისია იმისთვის, რომ მისცენ ჩვენ საქმეებს განსაზღვრული ფორმა, ჩვენ მოვითხოვთ სამი დღის განმავლობაში. ე. ი. 6 აგვისტომდე წარმოვიყენოთ კონკრეტულ ფორმით ბრალდება, წინააღმდეგ შემთხვევაში გავანთავისუფლოთ. თუ ჩვენი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქნება, ჩვენ სრული უფლება გვაქვება ჩავთლოთ ჩვენი დატუსალება პირიქების თავისუფლების ელემენტარულ უფლებების დარღვევათ და ძალმობრეობათ, რასაც ალბათ არ უნდა ქონდეს დემოკრატიულ ქვეყანაში, და იძულებული ვიქნებით 6 აგვისტოს დილიდან გავიყვებოდით მშვილობა რასაც საყოველთაოდ ვაცხადებთ.

ჩვენი ვესტა

ჩხარის კომუნისტურ ორგანიზაციას. ფული არ მიგვიღია, მოგაწოდეთ.

პლატონ დანელიას — მოგაწოდეთ მთელი კორესპონდენციები ადგილობრივ მიწის მუშების და პარტიულ ცხოვრებას.

კ. ნ. — დას — მოგაწოდეთ ხშირ-ხშირ კორესპონდენციები, როგორც პარტიულ ცხოვრებიდან ისე ადგილობრივ მიწის მუშებიდანაც. ვახეთი გვეგზავნებთ. ქუთაისელ ამხანაგებს. გამოაგზავნეთ კორესპონდენციები ადგილობრივ მუშების და პარტიულ ცხოვრებიდან.

დრ. რედაქტორი: დიმიტრი ჯორბენაძე.

უწყებანი

თბილისის კომუნისტურა ორგანიზაციის მთავარ რაიონის ბიურო დრეკებით მოთავსებულაა რუსსოვეტის სადგამში, სადაც წყარმობის ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო დაას დიდის 10 სასთადან ნაშუადღევს 1 სასთამდე და სადამის 4 სასთადან 7 სასთამდე.

ამხანაგების საყურადღებო!

მეორე რაიონის ს. კ. ბ. ბიურო დრეკებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსსოვეტის სადგამში, მიღება კოქედ დღე დიდის 10 სასთ. — 12 სასთამდე და სადამის 5 — 7 სასთამდე.

მესამე რაიონის ს. კ. ბ. ბიურო

დრეკებით მოთავსებულაა რუსსოვეტის სადგამში, სადაც წყარმობის ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია, ბიურო დაას დიდის 10 სასთ. სასთადან ნაშუადღევს 1 სასთ. სასთამდე და სადა, 5 სასთ. 7. სასთ.

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის შირველი რაიონის ბიურო მთავრსეკუდას ჩერქეზოვას ქუჩასე 135. სადაც ხვესანოვის საკითხველთა, ბიურო დაას სადამბათი 5 — 7 სასთ. სასთამდე.

ბიურო ს. კ. ბ. ლანჩხუთის რაიონული კომიტეტისა მოთავსებულაა კალისტე ებრალიძის შენობაში (მუშათა უბანში), აქვე მოთავსებულაა დრაიონის გურიის კომიტეტის საჭარბელოს ახალგაზრდათა კომუნისტური პარტიისა.

რაიონ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურო დრეკებით მოთავსებულაა ნოვო-ბეგუთოვის ქ. № 11 (Ново Бегутовская ул. № 11) მდივანი იღებს 11 — 1 ს.

ორგანიზაციის სასურადღებო!

საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის საწყობში არის შემდეგი გამოცემები. ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიკითხოთ კომიტეტის სადგომში — ტფილისის, პასკევის ქ. № 3.

- 1) საგუბერნიო თათბირი ქ. ტფილისში და დადგენილება მიწის შესახებ.
- 2) კომუნისტური პარტიის მანიფესტი.
- 3) საბჭოთა რესპუბლიკა.
- 4) კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა.
- 5) ვლ. როზანოვი — იმპერიალიზმი.
- 6) კავკასიის მშრომელ მასსას.
- 7) მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონი.
- 8) ლენინის მოხსენება და სიტყვა მე-3 საბჭოთა ყრილობაზე.
- 9) ნ. ლენინი — სახელმწიფო და რევოლუცია.
- 10) კობა (სტალინი) ჯულაშვილი — დიკტატორი მატერიალიზმი.
- 11) კ. მარქსი და ფ. ენგელსი — კომუნისტური მანიფესტი.
- 12) ნ. ბუხარინი — პროგრამა კომუნისტებისა (ბალშევიკების).
- 13) პარტიული წესდება.